პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 25 (3002)

1966 წ. 5 შაბათი, თებერვალი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

საქვეყნოს ცნობა

# „ლუნა-9“ — მთვარეზე

1966 წლის 3 თებერვალს 21 საათზე, 45 წუთსა და 30 წამზე მოსკოვის დროით ავტომატური სადგური „ლუნა-9“, რომელიც 31 იანვარს გაუშვეს, ნარნარად დაჯდა მთვარის ზედაპირზე ქარიშხალთა ოკეანის რაიონში, რეინერისა და მარიუსის კრატერთა დასავლეთით. მყარია რადიოკავშირი სადგურთან, რომელიც მთვარის ზედაპირზე არის. გადაცემა წარმოებს [illegible] სიხშირით.

სადგურის აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქნება ახალი ბაზა!

საქართველოს კომპარტიისა და სკკპ XXIII ყრილობათა ღირსეულად შეხვედრისთვის საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. უკვე დახნულია რიგებში 435 ჰექტარი ვენახი, მასში მთლიანად შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქები, 8 ჰექტარ ფართობზე მომზადებულია ნამყენი ვაზის სანერგე, 17 ჰექტარი ვენახი გადაყვანილია სამექანიზაციოდ და სხვ.

ამასთან ერთად, მეურნეობის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს ფიზკულტურაში მშრომელთა მასობრივად ჩაბმას. იქ, სადაც ათეული წლობით ჭაობიანი ადგილი იყო, შარშან ზაფხულს დაიწყეს კომპლექსური სპორტული ბაზის მშენებლობა. ამჟამად აქ დიდი საქმიანობაა გაჩაღებული. ეწყობა ფეხბურთის მინდორი, მძლეოსნური სექტორები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

კითხვაზე — როდის აპირებენ აღნიშნული სპორტული ბაზების მშენებლობის დამთავრებას, მეურნეობის დირექტორმა შ. ჯილაძემ გვიპასუხა:

— თუ ამინდებმა ხელი შეგვიწყო, სპორტული მოედნების აგებას დავამთავრებთ პარტყრილობათა მუშაობის დღეებში. გვაქვს სამერმისო გეგმებიც: 1970 წლისთვის ავაგებთ სპორტულ დარბაზს.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საჩხერის რაიონი.





ამ სურათებზე თქვენ ხედავთ გურჯაანის ღვინის ქარხნის მოწინავე სპეციალისტს, ადგილობრივი „კახეთის“ ფეხბურთელთა კოლექტივის წევრს ქ. უტიაშვილს.

გამრჯე ჭაბუკი, რომელიც არც შრომაში უდებს ვინმეს ტოლს და არც სპორტში, ახლა წინასაყრილობო შრომით ვახტზე დგას და სასახელოდ საქმიანობს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# ყინულზე ბრწყინავს ოქრო




აგერ უკვე რამდენიმე დღეა, რაც ბრატისლაველი სპორტის მოყვარულნი და მათი სტუმრები ტკბებიან (მსაჯებს ამისი „უფლება“ არა აქვთ) ევროპის უძლიერეს ფიგურისტთა შესანიშნავი ოსტატობით: სლოვაკიის დედაქალაქში მიმდინარეობს ჩვენი კონტინენტის ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში.

საბჭოთა ფიგურული ციგურაობის სკოლამ კარგა ხანია მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. უკვე ისტორიას ჩაბარდა ლენინგრადელი წყვილის — ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვის ტიტული — „მუდამ ვერცხლისანი“. ინსბრუკის „თეთრი ოლიმპიადის“, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა ამჯერადაც საუცხოოდ, უაღრესად შეთანხმებულად შეასრულეს პროგრამა, გამოავლინეს მომხიბვლელი არტისტული მომზადება და 316,4 ქულით შეინარჩუნეს კონტინენტის უძლიერესი წყვილის წოდება. ვერცხლის მედლებსაც საბჭოთა სპორტსმენები — ტ. ჟუკი და ა. გორელიკი დაეპატრონენ (307,8 ქულა). კარგად გამოვიდა ახალგაზრდა მოსკოველი ფიგურისტების წყვილიც — ტ. ტარასოვა და გ. პროსკურინი. მათ დაიკავეს IV ადგილი (296,7 ქულა), — წინ გაუშვეს ძლიერი მეტოქენი მ. გლოკჰუბერი და ვ. დანე (297,7 ქულა).

ბრატისლავაში გამეორდა „მოსკოვის ისტორია“: როგორც მაშინ ლუჟნიკის სპორტის სასახლეში, ევროპის ჩემპიონი ვაჟთა შორის გახდა ე. დანცერი (ვენა). 21 წლის ავსტრიელი მართლაც ბრწყინვალედ გამოვიდა და ნებისმიერი პროგრამის უზადო შესრულების შემდეგ ორი მსაჯის უმაღლესი შეფასება — „ექვსიანებიც“ კი დაიმსახურა. საბოლოოდ ჩემპიონმა მოაგროვა 2168,9 ქულა.

ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, დანცერის თანამემამულე ვ. შვარცი სულ 18 წლისაა. მისი ქულათა ჯამია 2162,7. მაგრამ კიდევ უფრო ახალგაზრდაა „ბრინჯაოს“ ლაურეატი ო. ნეპელა. ჩეხოსლოვაკიელმა მოსწავლემ, 15 წლის ნეპელამ არაჩვეულებრივი შთაგონებით, მრავალრიცხოვან მაყურებელთა შეუნელებელ ტაშში ჩაატარა გამოსვლა. მედალს იგი დაეპატრონა 2072 ქულის წყალობით.

საბჭოთა ფიგურისტებს ექვსეულში ვერ ვხედავთ. ისინი კვლავ დაამუხრუჭა ვარჯიშთა შებორკილმა, გაუბედავმა შესრულებამ. მათგან საუკეთესომ — ვ. მეშკოვმა (მოსკოვი) დაიკავა XI ადგილი (1884,5 ქულა). მისი თანამემამულე ს. ჩეტვერუხინი XII ადგილზეა (1869,1).

• • •



სურათზე: ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## უკანასკნელ საათს!

◆ **ჰარმიშ-პარტენკირხენი**, 4 თებერვალი. ბიატლონში მსოფლიოს ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ნორვეგიელმა ი. ისტადმა. ვ. გუნდარცევი (მოსკოვი) ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

# პოლიციელთა ოინბაზობა... სათხილამუროზე

**ჰარმიშ-პარტენკირხენი**, 3 თებერვალი. ის, რაც ბიატლონში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებმა — 15 ქვეყნის სპორტსმენებმა გფრ-ის სამხრეთში მდებარე პატარა საკურორტო ქალაქში ნახეს, ზამთარს თითქმის არცა ჰგავს: აგერ რამდენიმე კვირაა აქ დათბა, რამაც პანსიონატებისა და სასტუმროების მფლობელთა და, რაღა თქმა უნდა, შეჯიბრების ორგანიზატორთა სასოწარკვეთილება გამოიწვია — თოვლი პირდაპირ თვალსა და ხელს შუა დნება. ამას დღევანდელი წვიმაც დაემატა...

და მაინც, გადაწყდა ჩემპიონატის დაწყება. ხვალ მაყურებლები გახდებიან ჩემპიონატის პირველი სახეობის — სროლით 20 კილომეტრზე რბოლის მოწმენი. 6 თებერვალს კი გაიმართება ბიატლონისტთა ესტაფეტა 4×7,5 კმ, რომელიც ჩემპიონატის პროგრამაში შეტანილია პირველად.

საბჭოთა გუნდი რბოლაში ასეთი შემადგენლობით გამოვა: მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და ოლიმპიური ოქროს მფლობელი ვ. მელანინი, გამოცდილი სპორტსმენები ა. პრივალოვი და ნ. პუზანოვი, აგრეთვე ახალგაზრდა ვ. გუნდარცევი. ესტაფეტაში გუნდარცევს ალბათ შეცვლის ნ. მეშჩერიაკოვი.

სამწუხაროდ, ჩემპიონატის მონაწილეებში გამეფებული მეგობრული ატმოსფეროს შერყევას ცდილობენ „ჰალშტაინის დოქტრინის“ ბონელი მომხრენი (ამ დოქტრინის მიხედვით გდრ, როგორც სახელმწიფო, „არ არსებობს“). საქმე იმით დაიწყო, რომ გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლიუკემ დემონსტრაციულად განაცხადა უარი შეფობა გაეწია შეჯიბრებისთვის. მას არ მოეწონა, რომ გდრ-ის სპორტსმენები წარმოდგენილი იყვნენ სიებში სათაურით — „აღმოსავლეთ გერმანიის გუნდი“.

გუშინ, ვარჯიშის დროს, პოლიციელები იმდენად გაკადნიერდნენ, რომ დაპატიმრების მუქარით უხეშად მოსთხოვეს გერმანელ სპორტსმენებს თავიანთი ქურთუკებიდან მოეხსნათ გდრ-ის ემბლემა. ამის თაობაზე გდრ-ის გუნდის ხელმძღვანელმა თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო კავშირის (რომელიც განაგებს აგრეთვე ბიატლონს) დღეს გამართულ სხდომაზე განაცხადა, რომ თუ შემდგომშიც გამომჟღავნდება დისკრიმინაცია გდრ-ის მიმართ, იგი შეჯიბრებიდან მოხსნის გუნდს.

# უფრო ახლოს პრაქტიკის მოთხოვნებთან!

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც განაპირობებენ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მომავალი სპეციალისტების მზადების სისტემის გაუმჯობესება.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მზადების სისტემამ ჩვენს ქვეყანაში დიდი, დადებითი როლი ითამაშა. ამაზე მეტყველებს საბჭოთა სპორტსმენების ჭეშმარიტად გრანდიოზული მიღწევები, ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მოხვეჭილი გამარჯვებანი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველი სპორტსმენების მაგალითზე, თუ გავითვალისწინებთ მათს ხვედრით წონას ზემოაღნიშნულ წარმატებებში.

ყოველივე ეს უეჭველია, მაგრამ, ამასთან, ბოლო დროს სულ უფრო აშკარად გაისმის ხმები, რომ ის, რაც კარგია დღეს, ხვალ ძლივძლივობით დაგვაკმაყოფილებს, ხოლო ზეგ უკვე ცუდი იქნება. საქმე ის არის, რომ ცოდნის მარაგი მუდამ იზრდება, სწავლების ვადა კი იგივე რჩება. ასე რომ, სპეციალისტის მზადების პროცესში ცოდნის დიაპაზონის გაფართოების გზაზე საბოლოოდ ჩვენ შეიძლება სრულიად საპირისპირო შედეგს—დილეტანტიზმს, ყველაფერზე, მაგრამ ცოტ-ცოტა რამის ცოდნას — მივადგეთ.

ცოტა ხნის წინ ამ საკითხზე „სოვეტსკი სპორტში“ გამოვიდა ფიზაღზრდის თეორიის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი ა. ნოვიკოვი. იგი, კერძოდ, წერს: „ბიოლოგიური და სამედიცინო დისციპლინები ჩვენს სასწავლო გეგმებში წარმოდგენილი უნდა იყოს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია პედაგოგიური დისციპლინების წინიერი ათვისებისთვის. ახლანდელ სასწავლო გეგმებში, რომლებიც 1964 წელს დამტკიცდა, ზოგიერთმა მათგანმა არსებითად თვითკმარი მნიშვნელობა მოიპოვა“. და შემდეგ ავტორი ხაზს უსვამს: „საჭიროა სასწავლო გეგმაში დავტოვოთ მხოლოდ ის, რაც მომავალ პედაგოგს გამოადგება და გამოვრიცხოთ ყველაფერი, რასაც არავითარი პირდაპირი ან ირიბი კავშირი არა აქვს პრაქტიკულ მოღვაწეობასთან“.

ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დროს მოითხოვს, მაგრამ სრულიად აშკარაა — უკვე ახლავე, გადაწყვეტილების დაულოდებლად, ინსტიტუტის ყველა კათედრამ თავისი საქმიანობა ისე უნდა წარმართოს, რომ სკოლათა მომავალ მასწავლებლებს, სპორტის სახეობებში მომავალ მწვრთნელებს აუცილებელი კონკრეტული ცოდნა მიაწოდოს. საჭიროა, რომ პროგრამული მასალის მთელი მასიდან გამოიყოს უფრო მნიშვნელოვანი და ყურადღებაც მასზე გამახვილდეს, ხოლო დანარჩენი, ნაკლებმნიშვნელოვანი მასალა ისწავლებოდეს საერთო განვითარებისათვის, ფონისთვის.

სტუდენტის მიერ ათვისებული ცოდნა სწავლებისა და წვრთნის კონკრეტულ საკითხებს უნდა უკავშირდებოდეს. გამოცდებზე და ჩათვლებზე ყურადღება იმაზე უნდა გამახვილდეს, რაც სავალდებულოა მომავალი სპეციალისტისთვის, ხოლო ნაკლებმნიშვნელოვან დეტალებს ასეთი დიდი როლი არ უნდა დაეთმოს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, აუცილებელია კიდევ ერთხელ კრიტიკული თვალით გადაისინჯოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სასწავლო გეგმა და პროგრამები ცალკეულ საგნებში. საგანთა მეტი გამიზნულობისთვის იქნებ აზრი ექნებოდა საგნისთვის გვეწოდებინა, ვთქვათ, არა „ფსიქოლოგია“ „სპორტის ფსიქოლოგიის“ განაკვეთით, არამედ პირდაპირ „სპორტის ფსიქოლოგია“, რათა საერთო ფსიქოლოგიის ყველა მონაკვეთი უფრო კონცენტრირებულად გადაიცემოდეს — სპორტის მომავალი პედაგოგისთვის საჭირო თვალთახედვით.

ჩვენი აზრით, უსწოროა ისიც, რომ სასწავლო გეგმის ფარგლებს გარეთ რჩება ფიზაღზრდისა და სპორტის სპეციალისტისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საგნები, როგორიცაა კინო-ფოტოსაქმე, მუსიკალურ-რიტმული აღზრდა. ცოტა საათი (სულ 40) ეთმობა ბიომექანიკას, ხოლო, მეორეს მხრივ, უცხოური ენების შესწავლას ეძლევნება 230 საათი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ეს საკითხები როგორღაც მოგვარდება, მაგრამ უკვე ახლავე შეგვიძლია გადავდგათ ნაბიჯები, რომლებიც ჩვენს კურსდამთავრებულს პრაქტიკის მოთხოვნებთან მიაახლოებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე უფრო ქმედითუნარიან მუშაკებად გვევლინებიან ის კურსდამთავრებულნი, რომლებიც კარგად ფლობენ თავიანთ სპორტულ სპეციალიზაციას. როგორც ჩანს, ასეთი სტუდენტი უფრო მეტ დროს ახმარს საკუთარი სპორტული სპეციალიზაციის სრულყოფას და ამ ხნის განმავლობაში იძენს დამატებით ცოდნას, ჩვევებსა და უნარს, რომლებიც მას უფრო სრულფასოვან პედაგოგად აყალიბებენ. იგი პრაქტიკულად გადის სპორტული რეჟიმის, ასპარეზობებში მონაწილეობისა თუ მათთვის მზადების, სპორტული წვრთნის ორგანიზაციის, სპორტსმენთა კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს და უფრო ღრმად ეუფლება სწავლებისა და წვრთნის მეთოდიკას.

ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ა. ნოვიკოვს, რომელიც გვთავაზობს ფიზკულტურის ინსტიტუტებში უფრო ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებას, ხოლო მწვრთნელთა კადრების აღსაზრდელად—მწვრთნელთა უმაღლეს სკოლას. ამით იგი მწვრთნელის კვალიფიკაციას თითქოს უფრო დაბლა აყენებს ფიზაღზრდის მასწავლებლის კვალიფიკაციაზე.

სინამდვილეში კი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორედ მწვრთნელს უხდება თავის მოღვაწეობაში გადაჭრას ყველაზე უფრო რთული პედაგოგიური ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია სპორტსმენის ორგანიზმის, პიროვნებისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებასთან. უკვე გავიდა ის დრო, როცა ყოველი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს ამასთან მწვრთნელის კვალიფიკაციაც ჰქონდა.

ყოველივე ეს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ახლა, როცა უმაღლესი სასწავლებლები დიდი ხანია გადავიდნენ სტუდენტთა სპორტული სპეციალიზაციის სრულყოფაზე, როცა ადრეული სპეციალიზაციის საკითხები ძირითადად უკვე დადებითადაა გადაწყვეტილი და როცა სპორტული სპეციალიზაცია უკვე 10-12 წლის ასაკში უნდა იქნას დადგენილი.

იმისთვის, რომ ეს საკითხები უფრო წარმატებით გადავჭრათ (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პირობებში), ჩვენი აზრით, უნდა გადავიდეთ ისეთ სასწავლო გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებს არა „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასწავლებლის“, არამედ „მასწავლებელ-მწვრთნელის“ მომზადებას.

ეს სასწავლო გეგმა [illegible] განსხვავდება იმით, რომ მასში დაახლოებით ორჯერაა შემცირებული სპორტის სახეობებში საერთო მომზადების შესასწავლი საათების მოცულობა, მაგრამ სპეციალიზაციაში დაახლოებით ოთხჯერაა გაზრდილი სწავლებისთვის გათვალისწინებული დრო. ამასთან, სპეციალიზაცია დაიწყება არა III კურსიდან, როგორც ახლა ხდება, არამედ I კურსიდან. ეს გარემოება ხელს შეგვიწყობს უფრო გამიზნულად მოვამზადოთ მომავალი სპეციალისტები და უფრო ფართოდ მოვიზიდოთ ჩვენს ინსტიტუტში სპორტული კვალიფიკაციის მქონე დაინტერესებული ახალგაზრდობა.

ამ სასწავლო გეგმაში დამატებით შეიტანება ისეთი საგნები, როგორიცაა კინო-ფოტოსაქმე (30 საათი), სპორტული წვრთნის საფუძვლები (60 საათი); ბიომექანიკის კურსი გაიზრდება 70 საათამდე.

ჩვენი აზრით, ახალ სასწავლო გეგმაზე („მასწავლებელი-მწვრთნელი“) გადასვლა მნიშვნელოვნად აამაღლებს გამოსაშვებთა მომზადების ხარისხს და მათს ცოდნასა და ჩვევებს დღევანდელობის პრაქტიკულ მოთხოვნებს დაუახლოებს. ეს კი ფიზკულტურასა და სპორტში ახალი, მზარდი გამარჯვებების საწინდარია.

**რ. კერესელიძე,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსი,
**ი. ალიხანოვი,**
ძალოსნობის კათედრის დოცენტი.

# ლენინგრადში — საქართველოს რეკორდით



თბილისელმა მძლეოსანმა მერაბ ოურომიძემ სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრობა დაიმსახურა შეჯიბრებებში სისტემატურად ნაჩვენები მაღალი შედეგებით. ნიჭიერმა ჭაბუკმა სპეციალისტთა ყურადღება მაშინ მიიპყრო, როცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა, მერე ოსტატის ნორმა შეასრულა, შარშან კი საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარა — 17,30 მ.

მერაბი ახლა თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია და კარგად ათავსებს წვრთნასა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. კონსტანტინოვი) და სწავლას. იგი სანიმუშო სტუდენტად ითვლება, სპორტში კი... არა მარტო მშობლიურ უნივერსიტეტსა და რესპუბლიკაში, მას თანატოლებში ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაშიც არ ჰყავს ბადალი. ამჟამად იგი ენერგიულად ემზადება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის.

ოურომიძემ წლეულს სამ დიდ შეჯიბრებაში სცადა ძალები. ჯერ რიგაში იასპარეზა: აქ გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში III ადგილი დაიკავა (17,16 მ), მერე მოსკოვის სპორტის სასახლის მანეჟზეც III ადგილი მოიპოვა (16,95 მ), შემდეგ კი ლენინგრადში, „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ზამთრის პირველობაზე, საქართველოს ახალი რეკორდი (17,11 მ) დაამყარა და ჩემპიონობა მოიპოვა.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ოურომიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის საპატიო ნიშნით დაჯილდოვდნენ: **სამბოში** — ს. ჩიტაიშვილი (თბილისი); **ძალოსნობაში** — ა. ჰოლოკიანი (სოხუმი).

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ტყვიით სროლაში** — ი. ხუციშვილს (თბილისი, „დინამო“), ა. დანილევსკის, პ. კაიუდას (ორივენი — თბილისი, სკა); **ფრენბურთში** — ე. ბაქრაძეს (ტყიბული, „განთიადი“); **ტანვარჯიშში** — გ. ჩიკვილაძეს (ცხინვალი, „სპარტაკი“).

## რატომ არ ითვალისწინებენ?

კეთილმოწყობილი, ლამაზი და მიმზიდველი ხდება ზესტაფონი. ქალაქში ბევრი რამ შენდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებისა და ბავშვების სავარჯიშოდ ვერც ერთ კომპლექსურ, თუნდაც პრიმიტიულ სპორტულ მოედანს ვერ ნახავთ. მომავლისთვის აქ დაგეგმილია მთელი რიგი მშენებლობანი, მაგრამ რატომღაც საქალაქო სპორტული ბაზების აგებას არავინ ითვალისწინებს.

ზესტაფონს ადრე ჰქონდა სტადიონი, სადაც იმართებოდა სხვადასხვა შეჯიბრება, იწვრთნებოდა ახალგაზრდობა. ყოველივე ეს კარგად ახსოვთ ძველი თაობის ადამიანებს, მაგრამ ახლა ამ ადგილას სახელმწიფო ბანკის, საავადმყოფოსა და სხვა შენობებია წამოჭიმული.

მართალია, ფეროშენადნობთა ქარხანას აქვს სპორტული მოედანი, მაგრამ იგი მხოლოდ ამ დიდი საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ქალაქის ცენტრში არსებული ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზი სივიწროვის გამო ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელი ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნებს და სწორედ ამიტომ უაღრესად საჭირბოროტოა ზესტაფონში საქალაქო სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხის უახლოეს ხანში მოგვარება.

**ა. განუგრავა.**
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

◆ **ონი**

აქ ორ დღეს მიმდინარეობდა რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაიონული პირველობა სათხილამურო სპორტში. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიხვეჭეს სოფელ ღლოლის საშუალო სკოლის ნორჩებმა.

**ვ. ჩორდელი.**

## სტადიონია თუ სანაგვე ადგილი?!

უცნაური სათაურია? მივყვეთ ქვემოთ და ყველაფერი ნათელი გახდება. ახპინძაში არსებობს ფეხბურთის ერთადერთი სტადიონი, მაგრამ გორგასალის ქუჩის მცხოვრებთ რატომღაც ვერ შეუგნიათ, რომ სტადიონი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის კერაა და არა სანაგვე ადგილი.

ამ ყოვლად აღმაშფოთებელ ფაქტში ბრალი მიუძღვით აგრეთვე სადაბო საბჭოსაც და რაიონის სპორტკავშირსაც. პირველს იმიტომ, რომ მოსახლეობას არ ამარაგებს სანაგვე ყუთებით, მეორეს კი იმის გამო, რომ სტადიონის კეთილმოწყობაზე არ ზრუნავს.

იქნებ დროა ამ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს?

**ნ. ოქროაძე.**

ასპინძა.

## განგსტერთა მეთოდები

სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა ბადგაშტაინში მოწყობილ მოთხილამურე ქალების საერთაშორისო შეჯიბრებაში. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ავსტრიელმა კრისტლ ჰაასმა შეჯიბრების დაწყებამდე სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ შეამჩნია, რომ მისი ლითონის თხილამურები მოღუნული იყო. გასახდელში სპორტული ინვენტარის დატოვებისას ჰაასმა ხომ გულდასმით გასინჯა იგი და ვერავითარი დაზიანება ვერ შენიშნა! ღამით, ალბათ, ვიღაც შეიპარა გასახდელში და გააფუჭა თხილამურები. მაგრამ ვინ? და რა მიზნით?

ამ შემთხვევამ აალელვა სხვა ავსტრიელი სპორტსმენებიც და მათ უმალვე შეამოწმეს თავიანთი თხილამურები. როგორი იყო ავსტრიის გუნდის ახალგაზრდა მონაწილეთა — დიფურტისა და უნტერმოზერის გაკვირვება და აღშფოთება, როცა ნახეს, რომ მათი თხილამურების სამაგრები ძალზე შენიღბულად იყო სანახევროდ მოხერხილი. შეიძლება ითქვას, რომ ქალიშვილები სულ შემთხვევით გადაურჩნენ დასახიჩრებას ან სიკვდილსაც კი, ვინაიდან შეჯიბრებებში მათი სისწრაფე საათში 100 კილომეტრს აღწევს!

# ყოველი

მაინც ვინ არის ეს ბოროტმოქმედი? ამ საქმეში არც თუ ისე ძნელია გარკვევა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სამივე მოთხილამურე — ჰაასი და მისი ახალგაზრდა თანამემამულენი სარგებლობენ ფაბრიკანტ არნშტაინერის თხილამურებით. ეს ფირმა კი ამჟამად ძალიან დიდ კონკურენციას უწევს თხილამურების დამამზადებელ ავსტრიის სხვა მსხვილ მრეწველებს. არნშტაინერის თხილამურებზე უბედური შემთხვევა ხელს აძლევს მის კონკურენტებს. სწორედ მათ „იზრუნეს“ ამ 3 მონაწილის თხილამურების დაზიანებისთვის. ამას აღიარებს ავსტრიის პრესაც.

გაზეთი „არბაიტერცაიტუნგი“, მაგალითად, პირდაპირ წერს:

„არ შეიძლება გვერდი აუარო ისეთ ფაქტს, როცა სათხილამურო ფაბრიკანტების ბრძოლა ბოროტმოქმედების სფეროში გადადის. დარტყმა მიმართული იყო არა მოთხილამურე ჰაასისკენ, არამედ იმ თხილამურებზე, რომლებზეც იდგა სპორტსმენი“.

## დოქტორ გრ…

შაიბიან ჰოკეიში ლიუბლია… ჯოდ საერთაშორისო ფედერა… ტორი ფრიც გროსიც — ცნობილი … მსაჯობდა მსოფლიოს ხუთ ჩემპიონ… რა. გერმანულ გაზეთ „ტრიბიუნეს“ … პარაკა თავისი პროგნოზების შესახ…

— რასაკვირველია, — თქვა მან, … რაიმე გარკვეული. შესაძლოა ბევრი … განსაკუთრებით ძლიერია ჩეხოსლო… კავშირის ნაკრების სიძლიერის დ… ბოლო დროს გამართულ საერთაშო… გუნდში შეყავდათ 7 ახალბედა. რაც [illegible]

# სამხრეთელებს არ აშინებთ ყინვა

ლენინგრადი, 4 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ დიდი ყინვებია, თერმომეტრი მინუს 37 გრადუსს აჩვენებს. მაგრამ ქართველ მოჭადრაკეებს არ აშინებთ სიცივე: ისინი „მხურვალედ" იბრძვიან „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის ნახევარფინალში.

ჩინებულად თამაშობს თ. ლომაია, რომელიც 5 ქულით (7-დან) II ადგილზე იმყოფება (პირველზეა გოლენიშჩევი). VI და VII ტურებში ქართველმა ოსტატმა დაამარცხა ლენინგრადელები ბივშევი და ბერდიჩევი; პირველს მოუგო ენდშპილში, მეორეს კი — 30 სვლაში, პირდაპირი იერიშით.

მოსკოველ ესტრინთან ყაიმის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერებშია გ. გამრეკელიც. ფინალში გასვლის შანსები დაკარგა გ. მაჭავარიანმა, ვინაიდან VII ტურში „წაიფორხილა" არტამონოვთან შეხვედრაში.

ქალებში კვლავ წარმატებით თამაშობს ც. კახაბრიშვილი. ლენინგრადის ჩემპიონთან გრიგორიევასთან, აგრეთვე შიროკობრიუხოვასთან ყაიმის შემდეგ თბილისელ სტუდენტს 5,5 ქულა აქვს 7-დან. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება მ. ჩომახიძე, რომელიც სემიონოვასთან (ლენინგრადი) და ლუნკინასთან (ფრუნზე) გამარჯვებათა შემდეგ საგრძნობლად დაწინაურდა.

ნახევარფინალების დამთავრებამდე მხოლოდ 2 ტური დარჩა.




სურათზე: ც. კახაბრიშვილისა და ნ. კალაშნიკოვას (მოსკოვი) შეხვედრის მომენტი.

ფოტო ლ. პოლეტაევისა.

## ჭადრაკი

# დიდი შემოქმედების გზით...

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა ამას წინათ სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა თბილისელ იური ჩიქოვანს. ნიჭიერმა მოჭადრაკემ ეს დაიმსახურა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს შარშანდელ ჩემპიონატში, სადაც გაუსწრო ბევრ ცნობილ მოჭადრაკეს, მათ შორის დიდოსტატ დ. ბრონშტეინს.

ი. ჩიქოვანი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს საჭადრაკო ცხოვრებაში. იგი თითქმის სისტემატურად თამაშობს რესპუბლიკისა და თბილისის ჩემპიონატებში და არაერთხელ დაუცავს საქართველოს ღირსება სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. 1963 წელს ი. ჩიქოვანმა მოიპოვა თბილისის ჩემპიონის სახელი.

ახალგაზრდა ოსტატი საკმაოდ ერუდირებულია დებიუტების თეორიაში, ღრმად ესმის პოზიციური თამაში და ამიტომ ჩინებულად აწარმოებს სტრატეგიულ ბრძოლას.

მოგვყავს ახალგაზრდა ოსტატის შემოქმედების დამახასიათებელი პარტია „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის ნახევარფინალიდან. მასში შესანიშნავად ჩანს ჩიქოვანის სტრატეგიული აზროვნება, შორსმჭვრეტელობა სათამაშო გეგმის შედგენისას და მახვილი კომბინაციური თვალი.

### ი. ჩიქოვანი — ა. სარკინი
### სლავური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. მf3 კg7 5. კg5 c6 6. e3 0—0 7. კe2 e6 8. 0—0 მbd7 9. b4.

გათამაშდა რთული სტრატეგიული სისტემა, რომელიც დიდ სიფხიზლეს მოითხოვს გეგმის არჩევისას. თეთრების უკანასკნელი სვლის მიზანია თამაშის გაჩაღება ლაზიერის ფრთაზე.

9. ... dc 10. კ:c4 ლe7 11. ეb1 e5 12. b5.

შავებს ისე უნდა ეზრუნათ e6—e5-ის განხორციელებაზე, რომ არ დაეშვათ ხაზების გახსნა ლაზიერის ფრთაზე. შავების შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა. თეთრები ეუფლებიან ყველა კომუნიკაციას.

12. ... ed 13. ed cb 14. ეe1 ლd8 15. კ:b5.

სადებიუტო ბრძოლა დასრულდა. შავები ჩამორჩნენ განვითარებაში. თითქოს ფიგურების მობილიზებას წინ არაფერი უდგას, მაგრამ ეს მოჩვენებითია.

15. ... მb6 16. მe5 კf5 17. ეc1 ლd6 18. კe2!

შესანიშნავი მანევრია. თეთრებმა მიაგნეს სუსტ ადგილს (b7) შავების განლაგებაში. მასზე შეტევით ისინი ააშკარავებენ მეტოქის გეგმის მცდარობას.

18. ... a6 (იძულებითია) 19. კf3 ეab8.

სხვა დაცვა არ ჩანს. თუ 19. ... მfd5, მაშინ 20. მ:d5 მ:d5 21. ეc5 კe6 22. კ:d5 კ:d5 23. კe7 ლ:e7 24. მ:g6 ლd6 25. მe7+ პაიკის მოგებით და უკეთესი პოზიციით.

20. კf4 ლa3 21. ეe3 ეbd8 22. მd5 ლa5 23. მe7+ მფh8.



24. მ:c6.

ლოგიკური კომბინაცია, რომელიც აგვირგვინებს ოსტატურად ნათამაშევ პარტიას. თეთრები არ დახარბდნენ დიდ მატერიალურ „დოვლათს" — ისინი კმაყოფილდებიან პაიკით და... მეტოქისთვის უპერსპექტივო პოზიციით.

24. ... bc 25. მ:c6 ლa4 26. კc7 ლ:d1+ 27. ე:d1 ეd7 28. კ:b6.

პაიკი მოგებულია. ახლა საჭიროა თამაშის გამარტივება და გამსვლელი პაიკის ამოძრავება.

28. ... მd5 29. კ:d5 ე:d5 30. კc5 ეa8 31. მe7 ეd7 32. მ:f5 gf 33. d5 მფg8 34. d6.

დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

34. ... კf6 35. ეf3 მფg7 36. ე:f5 ეc8 37. g3 ეc6 38. მფg2 მფg6 39. ეfd5 h6 40. h4 კd8 41. ე1d4 შავები დანებდნენ.

თ. გიორგაძე.

ამ დღეებში ჩიქოვანმა ახალ წარმატებას მიაღწია: „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა (10 ქულა 13-დან). ოსტატმა მოიგო 7 პარტია, ხოლო 6 — ყაიმით დაამთავრა.

II-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა ვ. დავითაშვილმა და პირველთანრიგოსანმა ა. კირვალიძემ — 9-9 ქულა. ჩიქოვანის მსგავსად, დავითაშვილს არც ერთი პარტია არ წაუგია.

დავითაშვილმა და კირვალიძემ მოიპოვეს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის ნახევარფინალში (სოჭი, მარტი) თამაშის უფლება. ჩიქოვანი და დინამოელი ოსტატი ა. ბუსლაევი მიწვეული არიან „დინამოს" ჩემპიონატის ფინალში (კიევი, ზაფხული) სათამაშოდ.

# ჩემპიონატის ეკვატორზე

ტალინსა და ლუგანსკში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატის I წრის მატჩები. მოგვყავს ბოლო დღის შეხვედრებისა და ზოგიერთი გამოტოვებული თამაშის შედეგები:

ტალინი (ვაჟები). „ქალგირისი" (კაუნასი) — „დინამო" (მოსკოვი) 53:51, „სტროიტელი" (კიევი) — ასკ (რიგა) 78:77, „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 84:77, „დინამო" (მოსკოვი) — ასკ (კიევი) 59:55, „ქალგირისი" (კაუნასი) — ასკ (ლენინგრადი) 78:69, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — ვეფ (რიგა) 73:68, ცსკა — „სტროიტელი" (კიევი) 80:74, „კალევი" (ტარტუ) — ასკ (რიგა) 75:63.

ლუგანსკი (ქალები). ტტტ (რიგა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 56:38, „დინამო" (მოსკოვი) — „პოლიტექნიკი" (კაუნასი) 59:43, „დინამო" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (როსტოვი) 67:54, „დინამო" (ნოვოსიბირსკი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 41:27, ასკ (ლენინგრადი) — „უნივერსიტეტი" (ტარტუ) 35:34, ტტტ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (როსტოვი) 51:18, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „დინამო" (მოსკოვი) 59:55, „პოლიტექნიკი" (კაუნასი) — „დინამო" (ნოვოსიბირსკი) 54:51, „დინამო" (კიევი) — ასკ (ლენინგრადი) 65:40, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „უნივერსიტეტი" (ტარტუ) 56:50, სპი (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 48:54, სპი (თბილისი) — „უნივერსიტეტი" (ტარტუ) 56:50.

### გათამაშების ცხრილები
### I წრის საბოლოო შედეგები

**ვაჟები**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 10 | 1 | 10 |
| „სტროიტელი" კიევი | 11 | 7 | 4 | 7 |
| ასკ რიგა | 11 | 7 | 4 | 7 |
| ასკ კიევი | 11 | 6 | 5 | 6 |
| „კალევი" ტარტუ | 11 | 6 | 5 | 6 |
| ვეფ რიგა | 11 | 5 | 6 | 5 |
| „სპარტაკი" ლენინგრ. | 11 | 5 | 6 | 5 |
| „ჟალგირისი" კაუნასი | 11 | 5 | 6 | 5 |
| „დინამო" თბილისი | 11 | 5 | 6 | 5 |
| ასკ ლენინგრადი | 11 | 4 | 7 | 4 |
| „ურალმაში" სვერდ. | 11 | 4 | 7 | 4 |
| „დინამო" მოსკოვი | 11 | 2 | 9 | 2 |

**ქალები**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ რიგა | 11 | 10 | 1 | 10 |
| სპი თბილისი | 11 | 9 | 2 | 9 |
| „დინამო" მოსკოვი | 11 | 7 | 4 | 7 |
| „დინამო" კიევი | 11 | 7 | 4 | 7 |
| „პოლიტექნიკი" კაუნ. | 11 | 6 | 5 | 6 |
| „ურალმაში" სვერდ. | 11 | 6 | 5 | 6 |
| ასკ ლენინგრადი | 11 | 5 | 6 | 5 |
| „ბურევესტ." ლენინგ. | 11 | 5 | 6 | 5 |
| „სპარტაკი" მოსკ. ოლქი | 11 | 5 | 6 | 5 |
| „უნივერსიტ". ტარტუ | 11 | 3 | 8 | 3 |
| „დინამო" ნოვოსიბ. | 11 | 3 | 8 | 3 |
| „ბურევესტ". როსტ. | 11 | 0 | 11 | 0 |

## კალათბურთი

# ლიდერობენ საქართველოს სტუდენტები

თბილისში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ზონალური შეჯიბრება. ფინალში გასვლისათვის (ეს უფლება მხოლოდ ერთ გუნდს ეძლევა) იბრძვიან აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, აგრეთვე საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტისა და სომხეთის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კოლექტივები.

2 ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი. პირველ შეხვედრაში მან დაამარცხა (98:48) სომხეთის ზოოვეტინსტიტუტი, ხოლო მეორე დღეს — აზერბაიჯანის სპორტსმენთა კოლექტივი (100:55).

ასევე ორი გამარჯვება, მაგრამ უფრო მოკრძალებული ანგარიშით, აქვთ სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელებს, რომლებმაც ჯერ აზერბაიჯანელ კოლეგებს მოუგეს (44:43), ხოლო შემდეგ საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის წარმომადგენლებს — 54:44.

შეჯიბრება გრძელდება.

ფ. თუშიშვილი.

# გუნდები და თარიღები

მოსკოვი, 4 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 1966 წლის ჩემპიონატის ჩატარების ვადები და გუნდების რიცხვი. როგორც ცნობილია, „ა" კლასის I ჯგუფში ითამაშებს 19 გუნდი.

რაც შეეხება „ა" კლასის II ჯგუფის კოლექტივებს, მათი რაოდენობა 51 იქნება. ეს გუნდები დაყოფილი არიან სამ ქვეჯგუფად.

I ქვეჯგუფში ჩვენი რესპუბლიკიდან ითამაშებენ თბილისის „ლოკომოტივი" და ბათუმის „დინამო".

ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ორ წრედ იასპარეზებენ და I ადგილზე გასული კოლექტივი საგაისოდ უმაღლეს ლიგაში გადავა.

ჩემპიონატი დაიწყება 10 აპრილს და დამთავრდება 20 ნოემბერს.

„ბ" კლასის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივებს დაემატა კიდევ ერთი — გორის „დილა".

სსრ კავშირის თასის გათამაშება გაიმართება ჩემპიონატის პარალელურად. „ა" კლასის I ჯგუფის გუნდები ასპარეზობაში ჩაებმებიან აგვისტოში. ფინალური მატჩი დანიშნულია 9 ოქტომბერს.

# მხრიდან

...ს პროგნოზი

...ფლიო ჩემპიონატის მატჩების სამსა-
...ა არბიტრებთან ერთად დანიშნა დოქ-
...ელი სპეციალისტი. დოქტორი გროსი
... ჩაატარა 44 საერთაშორისო შეხვედ-
...ონდენტთან ინტერვიუში გროსმა ილა-
...ლიოს პირველობის წინ.
... ნაადრევია დაბეჯითებით ამტკიცო
...ვალოს. ამ სეზონში ჯერჯერობით
... გუნდი. მსოფლიო ჩემპიონის — სსრ
...მად ძნელი შესაფასებელია, ვინაიდან
... შეხვედრებში საბჭოთა მწვრთნელებს
... ჩვენს ნაკრებს, მას ძალიან გაუძნელ-
დება იუგოსლავიაში, რადგან ჩვენი მწვრთნელები ჯერ კიდევ ექსპერიმენტებს აკეთებენ და ვერ დაუდგენიათ გუნდის საბოლოო შემადგენლობა.

### ჩემპიონატი და... ქეცი

დასავლეთგერმანული გაზეთი „მიუნქენერ მერკური" იუწყება, რომ ცნობილმა ნიურნბერგელმა ფიგურისტმა გიუნტერ მატცდორფმა თავისი და თავისი პარტნიორის — ხონი პფერსდორფის სახელით სასამართლოს მიმართა — დაადანაშაულა „უცნობი პირები", რომლებმაც ანგარების მიზნით ხელი აღმართეს მათს ჯანმრთელობაზე.

მაინც რა მოხდა?

სიტყვა მივცეთ თვით მატცდორფს. „ეს მე რომ არ შემთხვევოდა, — ამბობს იგი, — არც კი დავიჯერებდი. მაგრამ ფაქტებს ვერსად გაექცევი. ობერსტდორფში მოწყობილ ბავარიის პირველობაზე შეჯიბრების წინა ღამით დასაძინებლად ადრე დავწექი მაგრამ 1 საათის შემდეგ გამაღვიძა საშინელმა ქავილმა. მზად ვიყავი ტანი დამეგლიჯა. ასე ვიტანჯე მთელი ღამის განმავლობაში და დილით დავადგინე, რომ უცნობმა პირებმა ჩემი საწოლის ლეიბზე მოაფრქვიეს ქავილის გამომწვევი რაღაც ფხვნილი. ასევე მოიქცნენ ჩემი პარტნიორის მიმართაც. ჩვენ თეთრეული უმალვე გადავეცით სახამართლო-სამედიცინო ინსტიტუტს".

უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტის ექსპერტიზის შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ დასავლეთგერმანულ სპორტში ჯერ კიდევ ბლომად არიან გავლენიანი პირები, რომელთაც სურთ მიჩქმალონ ეს სკანდალო საქმე. ფიგურული სრიალის დასავლეთგერმანული ფედერაცია ცდილობდა დაერწმუნებინა ჟურნალისტები, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ „უზომო ექსპანსიით შეპყრობილ გულშემატკივართა მორიგ გამოხდომას".

მაგრამ თვით „მიუნქენერ მერკური" იძულებულია აღიაროს, რომ აქ არაფერ შუაში არიან გულშემატკივრები. ამას სჩადის ზოგიერთი სპორტსმენი, რომელიც გამარჯვების ტიტულის მოსაპოვებლად მზად არის ყოველგვარი სისაძაგლე მოიმოქმედოს.

# ᲑᲔᲚᲝᲜ ᲝᲙᲔᲐᲜᲘ

● ზაკოპანე. 3 თებერვალი. პოლონეთის ამ სამთო აგარაკის ყინულოვან ბილიკზე ევროპის ჩემპიონატის მცირე ვერცხლის მედლის მფლობელმა (სპრინტში) ჰ. თრეეზემ (ბერლინი) გდრ-ის კიდევ ერთი რეკორდი გააუმჯობესა: 500 მეტრი გაირბინა 41,3 წამში.

● ოსლო, 3 თებერვალი. სათხილამურო სპორტის მოყვარულები არნახულ ინტერესს იჩენენ მსოფლიოს ჩემპიონატისადმი, რომელიც ნორვეგიის დედაქალაქის მახლობლად (ჰოლმენკოლენში) ჩაიმართება 17-27 თებერვალს. უკვე გაყიდულია ერთ მილიონამდე კრონის (დაახლოებით 140 ათასი დოლარი) ბილეთები. უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრებების სანახავად აქ ჩამოვლენ ტურისტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და ევროპის სოციალისტური სახელმწიფოებიდან. შეჯიბრების ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ დიდ ტრამპლინზე ასპარეზობისას (27 თებერვალი) გაუმჯობესდება 1952 წელს დამყარებული რეკორდი, როცა „მფრინავ მოთხილამურეთა" ოლიმპიურმა ტურნირმა 120 ათასამდე მაყურებელი მიიზიდა.



სურათზე: ჰოლმენკოლენის ტრასის ერთ-ერთი მონაკვეთი. ამ ტრასაზე იასპარეზებენ ვაჟებიც და ქალებიც, მაგრამ ქალთა დისტანცია,ცხადია, ერთგვარად გაიოლებული იქნება. ფოტო პ. ზემცოვისა (ასს-ი).

# „ᲡᲞᲝᲠᲢᲝᲕᲔᲪᲘᲡ" Ა Ზ Რ Ი Თ...

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲔᲜᲘ

პოლონურმა ჟურნალმა „სპორტოვეცმა" გამოაქვეყნა მსოფლიოს საუკეთესო მოფარიკავეთა ათეულები.

### ᲠᲐᲞᲘᲠᲐ

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ: 1. ჟ. კ. მანიანი (საფრანგეთი), 2-3. დ. რევენუ (საფრანგეთი), გ. სვეშნიკოვი (სსრ კავშირი), 4-5. ვ. პუტიატინი (სსრ კავშირი), ვ. ვოიდა (პოლონეთი), 6. მ. მიდლერი (სსრ კავშირი), 7. ი. კამუტი (უნგრეთი), 8-10. ზ. სკრუდლიკი (პოლონეთი), შ. საბო (უნგრეთი), ი. შაროვი (სსრ კავშირი).

ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ: 1. სსრ კავშირი, 2. პოლონეთი, 3. საფრანგეთი, 4-5. რუმინეთი, უნგრეთი, 6-7. გფრ, იტალია, 8-9. იაპონია, დიდი ბრიტანეთი, 10. აშშ.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ: 1. გ. გოროხოვა (სსრ კავშირი), ო. ორბან-საბო (რუმინეთი), 3-4. ვ. პრუდსკოვა (სსრ კავშირი), მ. ვიკოლი (რუმინეთი), 5. ა. რაგნო (იტალია), 6. ბ. გაპაისი (საფრანგეთი), 7-8. ი. გილაი-დრიმბა, ე. იენჩიჩი (ორივენი — რუმინეთი), 9. ვ. რასტვოროვა (სსრ კავშირი), 10. ე. ციმერმანი (პოლონეთი).

ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ: 1. სსრ კავშირი, 2. რუმინეთი, 3. იტალია, 4. უნგრეთი, 5. გფრ, 6. საფრანგეთი, 7-8. პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, 9. შვეცია, 10. გდრ.

### ᲔᲡᲞᲐᲓᲠᲝᲜᲘ

1. ე. პავლოვსკი (პოლონეთი), 2. მ. მეხენა (უნგრეთი), 3. ტ. პეჟე (უნგრეთი), 4. ზ. ხორვატი (უნგრეთი), 5 6. პ. ბაკონი (უნგრეთი), ი. რილსკი (სსრ კავშირი), 7. ა. კოვაჩი (უნგრეთი), 8. ბ. მელნიკოვი (სსრ კავშირი), 9. ი. ლეფევრი (საფრანგეთი), 10. ნ. ახათიანი (სსრ კავშირი).

ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ: 1. სსრ კავშირი, 2-3. უნგრეთი, იტალია, 4-5. საფრანგეთი, პოლონეთი, 6. გფრ, 7. აშშ, 8. ბულგარეთი, 9-10. დიდი ბრიტანეთი, რუმინეთი.

### ᲓᲐᲨᲜᲐ

1. ზ. ნემერე (უნგრეთი), 2. გ. კოსტავა (სსრ კავშირი), 3. ვ. ჰოსკინსი (დიდი ბრიტანეთი), 4. ი. ბროდინი (საფრანგეთი), 5. ჯ. პაულუსი (იტალია), 6-8. ჯ. ბრედა (იტალია), ბ. ხაბაროვი (სსრ კავშირი), დ. იუნგი (გფრ), 9-10. პ. ბ. ნადი (უნგრეთი), გ. კრისი (სსრ კავშირი).

ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ: 1. საფრანგეთი, 2-3. დიდი ბრიტანეთი, სსრ კავშირი, 4-5. გფრ, იტალია, 6. შვეცია, 7. უნგრეთი, 8. პოლონეთი, 9. შვეიცარია, 10. ავსტრია.

## ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ

„სპორტოვეცმა" გამოაქვეყნა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულები 1965 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

ვაჟები: 1. მ. სანტანა (ესპანეთი), 2. რ. ემერსონი, 3. ფ. სტოლე (ორივენი — ავსტრალია), 4. კ. დრისდელი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 5. ა. აშე (აშშ), 6. ტ. როშე, 7. ი. ნიუკომბი (ორივენი — ავსტრალია), 8. დ. რალსტონი (აშშ), 9. ი. ე. ლუნდკვისტი (შვეცია), 10. მ. მილიგანი;

ქალები: 1. მ. სმითი (ავსტრალია), 2. მ. ბუენო (ბრაზილია), 3. ლ. ტერნერი (ავსტრალია), 4. ბ. მოფიტი (აშშ), 5. ვ. ზილი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 6. კ. ტრუმენი (დიდი ბრიტანეთი), 7. ნ. რიჩი (აშშ), 8. ა. იონესი (დიდი ბრიტანეთი), 9. ფ. დური (საფრანგეთი), 10. კ. გრებნერი (აშშ).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

## ᲑᲔᲚᲝ - ᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲨᲘ — 6:1

ᲑᲔᲚᲝ-ᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ, 4 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები აქ შეხვდა „ატლეტიკო მინეიროს" და გაიმარჯვა — 6:1.

ორ-ორი გოლი გაიტანეს კოპაევმა (მე-3 და მე-16 წუთებზე) და ჩისლენკომ (მე 20 და 69-ე წუთებზე), ხოლო თითო — ჰუსაინოვმა (მე-5 წუთზე) და მესხმა (25-ე წუთზე).

ერთადერთი საპასუხო ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა ტონინიომ.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, დანილოვი, მალაფეევი, ჰუსაინოვი, ჩისლენკო, მეტრეველი, კოპაევი, მესხი. მეორე ტაიმში მალაფეევის, ჰუსაინოვისა და მესხის ნაცვლად მინდორზე გამოვიდნენ ვორონინი, ბიბა და ხმელნიცკი.

## ᲔᲣᲡᲔᲑᲘᲝ, ᲚᲝᲣ, ᲩᲐᲠᲚᲢᲝᲜᲘ...

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების 2 აღიარებული ფავორიტის — „მანჩესტერ იუნაიტედისა" (ინგლისი) და „ბენფიკას" (პორტუგალია) პირველი მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა ოთხშაბათს მანჩესტერში. სტადიონზე ტევა არ იყო: მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა ევროპის საუკეთესო ფორვარდებს ეუსებიოს, ლოუსა და ჩარლტონს.

დასაწყისიდან უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. ინგლისის ჩემპიონის თავდასხმის (კონელი, რ. ჩარლტონი, ჰერდი, ლოუ, ბესტი) ბრწყინვალე თამაშმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა „ბენფიკას" დაცვა და მეკარე პერეირა.

პორტუგალიელები იშვიათად, მაგრამ სახიფათოდ უტევდნენ. 30-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ეუსებიომ კუთხური ჩამოაწოდა და მიუხედავად იმისა, რომ საჯარიმო მოედნის ფარგლებში 7 ინგლისელი იყო, აუგუსტომ თავით გაიტანა გოლი — 1:0.

მასპინძელთა შეტევები კიდევ უფრო სამიში გახდა. ჯერ ბესტის გადაცემიდან ცენტრფორვარდმა ჰერდმა გაქვითა ანგარიში, ხოლო 41-ე წუთზე ლოუმ ახლო მანძილიდან ანგარიში გაზარდა — 2:1.

მეორე ტაიმში მანჩესტერელთა სტოპერმა ფოლქსმა თავით გაიტანა მესამე გოლი — 3:1. 74-ე წუთზე ეუსებიოს მიერ ოსტატურად მოჭრილი ბურთი მოიგერია მეკარე გრეგმა, მაგრამ იქვე გაჩნდა ტორესი და სხვაობა შეამცირა — 2:3.

ბოლო 15 წუთი „ბენფიკას" შეუნელებელი იერიშებით აღინიშნა. 86-ე წუთზე ეუსებიოს მიერ შორიდან დარტყმული ბურთი ფანტასტიკურ ნახტომში ძლივს მოიგერია გრეგმა. ინგლისელებმა შეინარჩუნეს ანგარიში — 3:2.

9 მარტს ლისაბონში ჩატარდება საპასუხო მატჩი.

(საქ. ინფ.).

## ᲒᲐᲖᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ მეოთხედფინალური შეხვედრა ლიდსში (ინგლისი) ადგილობრივ „ლიდს იუნაიტედსა" და ესპანეთის „ვალენსიას" შორის სასტიკი უხეშობით და... პოლიციის ჩარევით აღინიშნა. ანგარიში მე-17 წუთზე გახსნეს ესპანელებმა და მხოლოდ 63-ე წუთზე შეძლეს მასპინძლებმა საპასუხო ბურთის გატანა — 1:1. მატჩის მსვლელობაში მინდორზე რამდენიმეჯერ ატყდა ჩხუბი და საქმეში ჩაერია პოლიცია. შემდეგ ჰოლანდიელმა არბიტრმა ლ. ჰორნმა შეწყვიტა თამაში და ორივე გუნდი გასახდელში გაემართა. როცა შეხვედრა განახლდა, მსაჯმა მინდვრიდან გააძევა „ლიდსის" კაპიტანი, ინგლისის ნაკრების სტოპერი ჯ. ჩარლტონი და ესპანელთა მარცხენა მცველი გირგალი, შემდეგ მათ მიყვა „ვალენსიის" თავდამსხმელი ლარგაც. 9 ესპანელმა შეძლო ანგარიშის შენარჩუნება — 1:1.

16 თებერვალს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად ვალენსიაში: ფიფა-მ გააფრთხილა ორივე გუნდი, რომ უხეშობის გამეორების შემთხვევაში ისინი დატოვებენ გათამაშებას.

ᲰᲐᲜᲝᲕᲔᲠᲨᲘ (გფრ) პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივი „ჰანოვერ 96" შეხვდა „ბარსელონას" (ესპანეთი). გაიმარჯვეს გერმანელებმა — 2:1.

26 თებერვალს მოეწყობა საპასუხო მატჩი.

ᲙᲘᲝᲚᲜᲨᲘ (გფრ) პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივმა „ფკ კიოლნმა" დაამარცხა უნგრეთის „უიპეშტ დოჟა" — 3:2.

16 თებერვალს გუნდები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს ბუდაპეშტში.

(საქ. ინფ.).

## ᲩᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲐᲛᲓᲔ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ჟურნალმა „ეხომ" საინტერესო სტატისტიკური ცნობები გამოაქვეყნა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ყველა 16 ფინალისტის შესახებ. ჟურნალმა თავის კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო შედეგები იმ საერთაშორისო მატჩებისა, რომლებიც ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა ჩილის მსოფლიო პირველობის შემდეგ ჩაატარეს. ჩილიდან ლონდონამდე — ასეთია კლასიფიკაციის დევიზი.

როგორც გამოირკვა, 3 წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებს 348 მატჩი ჩაუტარებიათ. აქედან მათ 176 შეხვედრა მოიგეს, 89 წააგეს და 83 ფრედ დაამთავრეს. ქვემომოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში საუკეთესო შედეგისთვის მიუღწევია ინგლისის ნაკრებს. მაღალი მაჩვენებლები აქვს არგენტინის ნაკრებსაც (საკმარისია გავიხსენოთ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის — ბრაზილიის 3 დამარცხება — 3:0, 3:0, 3:2 და მოგება ინგლისთან — 1:0).

ფინალისტთა ცხრილი „ჩილიდან ლონდონამდე" ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ | 34 | 19 | 9 | 6 | 81:47 | 47 |
| ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ | 29 | 18 | 5 | 6 | 54:30 | 41 |
| ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ | 28 | 16 | 7 | 5 | 62:30 | 39 |
| ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ | 29 | 14 | 6 | 9 | 60:42 | 34 |
| ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ | 20 | 14 | 4 | 2 | 53:12 | 32 |
| ᲘᲢᲐᲚᲘᲐ | 21 | 13 | 5 | 3 | 46:15 | 31 |
| ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ | 26 | 10 | 11 | 5 | 42:25 | 31 |
| ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ | 21 | 13 | 5 | 3 | 34:22 | 31 |
| ᲒᲤᲠ | 20 | 10 | 5 | 5 | 48:24 | 25 |
| ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ | 19 | 9 | 3 | 7 | 30:23 | 21 |
| ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ | 18 | 9 | 3 | 6 | 26:24 | 21 |
| ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ | 18 | 8 | 4 | 6 | 30:32 | 20 |
| ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ | 22 | 7 | 5 | 10 | 30:30 | 19 |
| ᲩᲘᲚᲘ | 15 | 5 | 5 | 5 | 25:23 | 15 |
| ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ | 20 | 5 | 4 | 11 | 22:39 | 14 |
| ᲙᲝᲠᲔᲐ | 8 | 6 | 2 | 0 | 21:3 | 14 |

ᲠᲐᲓᲘᲝᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

◆ ...4 თებერვალი. სსრ კავშირის საციგურაო სპორტის ფედერაციამ დაამტკიცა ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც ხვალ გაემგზავრება ნორვეგიას მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ნაკრებში შევიდნენ: ვ. სტენინა, ლ. სკობლიკოვა, ი. ეგოროვა, ვ. კალნისტე, ტ. რასტოპშინა და ლ. ტიტოვა. მაგრამ ვინაიდან ტრონჰეიმის ყინულოვან ბილიკზე 12-13 თებერვალს ყოველი ქვეყნიდან მხოლოდ 5 მოციგურე უნდა გამოვიდეს, ამიტომ სსრ კავშირის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა დადგინდება 8 თებერვალს ოსლოში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების შემდეგ.



▲ პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო მაგიდის ჩოგბურთის თითქმის ყველა გამოჩენილმა ევროპელმა ოსტატმა. ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებაში მოულოდნელად გაიმარჯვეს რუმინელებმა, რომლებმაც ფინალში სძლიეს იუგოსლაველებს — 3:1. ქალთა გუნდების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ჩემპიონები — ინგლისელები და უნგრელები. გაიმარჯვეს ჩემპიონებმა — 3:2. საბჭოთა სპორტსმენები ძალიან ცუდად გამოვიდნენ: ქალთა გუნდი მასპინძლებთან მეოთხედფინალში მარცხის (2:3) შემდეგ გამოეთიშა ტურნირს, ხოლო ვაჟთა ნაკრები უკვე II წრეში დამარცხდა იუგოსლაველებთან — 2:3. ერთეულთა შეხვედრებში ყველას აჯობეს ჩელ იუჰანსონმა (შვეცია) და მარტა ლუჟოვამ (ჩეხოსლოვაკია). საბჭოთა სპორტსმენები აქაც უხეიროდ გამოვიდნენ. ახვებზე უკეთესად ითამაშა ქვეყნის ჩემპიონმა, მოსკოველმა ზ. რუდნოვამ, მაგრამ იგი მეოთხედფინალს ვერ გასცდა — დამარცხდა რუმინელ მ. ალექსანდრუსთან (0.3).

▲ ᲐᲠᲕᲘᲙᲐ. შვეციის მოთხილამურეთა ჩემპიონატში, როგორც ცნობილია, კონკურსგარეშე მონაწილეობენ საბჭოთა სპორტსმენები. 30 კილომეტრზე ვაჟთა რბოლაში გაიმარჯვა ბ. ანდერსონმა — 1:43.53,0. ქალთა 10-კილომეტრიანი რბოლა მოიგო ტ. გუსტაფსონმა — 38.09,0. 15 კილომეტრზე ვაჟთა რბოლის ფინიშთან პირველი იყო რ. პერსონი — 46.50.0. საბჭოთა მოთხილამურეთაგან საუკეთესომ — ი. უტრობინმა IV დრო აჩვენა — 47.06,0.

▲ ბელგრადი. პოლონეთის კალათბურთელ ქალთა გუნდმა „ვისლამ" დაამარცხა ადგილობრივი „რადნიჩკი" — 67:54 (29:26) და გავიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში. ეს თამაში პოლონელებმა მოიგეს ქულათა თითქმის ისეთივე სხვაობით, როგორც პირველი მატჩი კრაკოვში, სადაც განსხვავება 19 ქულას შეადგენდა.

▲ სოფია. გამოვლინდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის კიდევ ერთი ნახევარფინალისტი: ბულგარეთის „სლავიის" კალათბურთელ ქალთა გუნდმა საკუთარ მოედანზე დაამარცხა იტალიის „ვიჩენცა" — 87:71 (49:28).

▲ ᲢᲣᲠᲙᲣ. ძალოსანთა ადგილობრივი კლუბის შეჯიბრებაში ფინეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ახალი რეკორდი დაამყარა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა საშუალო წონაში ი. კაილაიარვიმ. ამჯერად იგი ქვემძიმე წონაში გამოვიდა და სამჭიდში 457,5 კგ (132,5 + 142,5 + 182,5) დაავროვა.

### ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებული მასალის „ტალინელი „სხენკი" სათაური უნდა იკითხებოდეს ასე: „ლატვიელი „სხენკი".

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66148

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14

უე 05837